სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

18 დეკემბერი 2024

N 21/12848

შპს „აი ჯი ენერჯის“
მის: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. N8
ელ. ფოსტა: otar.gavasheli@gmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 19 ნოემბრის N11111 და N11113 განცხადებებით წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მულხურაზე 40,2 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია 100 წლიანი განმეორებადობის მაქსიმალური ხარჯის სხვადასხვა სიდიდე რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- არ არის წარმოდგენილი მყარი ნატანის ანგარიში;
- არ არის წარმოდგენილი მინიმალური ჩამონადენის (სხვადასხვა უზრუნველყოფის 1 დღიანი, 10 დღიანი და 30 დღიანი) ანგარიში;
- სალექარის ნახაზზე არ არის ნაჩვენები ნატანის გამრეცხი მილი/გალერეა და მისი შეუღლება მდინარის კალაპოტთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12848-21-2-202412181623

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE